მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 31

2011 წლის 30 მარტი

ქ. მცხეთა

ქ. მცხეთა, რუსთაველის ქ. №16-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის ბინების ნუმერაციის მოწესრიგების შესახებ

,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ძ" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის I პუნქტის ,,უ" ქვეპუნქტის, მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის ,,ნ" ქვეპუნქტის საფუძველზე,

1. დამტკიცდეს ქ. მცხეთაში, რუსთაველის ქ. №16-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის ბინების ნუმერაცია თანახმად დანართისა.
2. მიღებული განკარგულების შესახებ ეცნობოს:
   2.1 საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს;
   2.2 საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურს;
   2.3 მცხეთის ტერიტორიულ ორგანოს.
3. განკარგულება ძალაშია გაცნობისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონულ სასამართლოში ერთი თვის ვადაში. მცხეთა, სამხედროს ქუჩა №17.

საკრებულოს თავმჯდომარე ანდრო კალანდაძე

№ 31 განკარგულების დანართი

1. ქ. მცხეთაში, რუსთაველის ქ. №16-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის ბინების ნუმერაცია მოხდეს შემდეგნაირად:

1.1. ქ. მცხეთაში, რუსთაველის ქ. №16-ში საცხოვრებელი სახლი არის ერთ სართულიანი, ხუთ ბინიანი. ბინების ნომერაცია დგინდება შემდეგი თანამიმდევრობით, მარცხნიდან მარჯვნივ პირველი ბინის რიგით ნომრად ფიქსირდება #1, შემდეგი ბინების ნომერი იქნება, შესაბამისად #2, #3, #4, #5.